# ვიდრე ტყე ხემდე დავიდოდეს

## რა შევუნახოთ შვილებსა?!

თამუნა ოსიძე

როგორც „დიდი ეკონომისტი“ ამბობდა: „საქართველოში ყველაფერი იყიდება სინდისის გარდა“ (რომელიც, ალბათ, არ გაგვაჩნია და, ბუნებრივია, ვერც გავყიდით). ამიტომაც აუქციონის წესით იყიდება ქართული მთა-ბარი, მდინარეები და ტბები, ტყეები და ზვრები...

ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალურობა ტყითსარგებლობაზეც აისახა, თუმცა ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის ბუნებრივი რესურსების ბითუმად ათვისება, შესაძლოა, დღევანდელი კვერცხის მტვრევას დაემსგავსოს. არასამთავრობო სექტორში გავრცელებული მოსაზრებით, ტყის მართვის უფლების აუქციონზე გრძელვადიანი სარგებლობით გაცემა, ლიცენზიის პირობების დაკონკრეტების გარეშე, ინვესტორს დააზნევს. „მწვანე ალტერნატივის“ ბიომრავალფეროვნების კოორდინატორის, ირაკლი მაჭარაშვილის თქმით, „სერიოზული ინვესტორი ისეთ შეფუთულ ნივთს არ იყიდის, რომელსაც ვერ ხედავს“.

გარემოს დაცვის სამინისტრო ერთწლიანი ლიცენზიებით სატყეო რესურსების დაცვას ეჭვქვეშ აყენებს. ხანგრძლივვადიან სარგებლობაში გადაცემა გაზრდის მეწარმის დაინტერესებას, მდგრადად მართოს მიღებული ობიექტი. როგორც მაჭარაშვილი განმარტავს, „მდგრადი მართვის მიხედვით, ისე უნდა იყოს წარმართული ინვესტორის საქმიანობა, რომ ეს რესურსი თაობების განმავლობაში არ ამოიწუროს“. „მწვანე ალტერნატივა“ საჭიროდ მიიჩნევს სალიცენზიო პირობებში ისეთი დეტალების დაზუსტებას, როგორიცაა ფართის გამიჯვნა ათვისების ფუნქციის მიხედვით, ასევე გაუმართლებლად თვლის გარემოს დაცვის ვალდებულებაზე ზოგადი დებულებებით მითითებას.

„მწვანე ალტერნატივის“ კოორდინატორი მიიჩნევს, რომ კვარტლების მიხედვით მკაფიოდ უნდა განისაზღვრებოდეს უბნები, რომლებზეც ნებადართული ან აკრძალული იქნება ჭრა. ვინაიდან, წინასააუქციონო პროცედურებს შორის არსებული ინტერვალები იმდენად არათანაბარი იყო, ბუნდოვან სალიცენზიო პირობებთან ერთად ეს ფაქტორიც ზრდის ეჭვს, რომ აუქციონის მომზადებისას სათანადო ინსტიტუტებმა საზოგადოებისათვის უცნობი ქვეტექსტებიც გაითვალისწინეს.

„პირველ მაისს ჩატარებული აუქციონი 2 აპრილს გამოცხადდა, – აცხადებს მაჭარაშვილი, – განხილვა ერთ თვეში დასრულდა. მომდევნო აუქციონი სექტემბერში გამოცხადდა და თებერვალშიც ვერ ჩატარდა. სამინისტრომ ჩათვალა, რომ განსახილველი დრო მცირე აღმოჩნდა. თუ პირველ შემთხვევაში ერთთვიანი ვადა კმაროდა ინვესტორის ინფორმირებისათვის, ექვსი თვე როგორ არ იყო საკმარისი, ესაა გაუგებარი“, თუმცა გარემოს დაცვის სამინისტროს ტყის დაცვის სამსახურის უფროსი გოგი დათუნაიშვილი აცხადებს, რომ გადავადება ინვესტორების არგამოჩენამ განაპირობა.

ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ სატყეო რესურსის მართვის უფლების გრძელვადიანი სარგებლობით გასხვისება ტყის დაცვის მექანიზმს გაამყარებს. არასამთავრობო ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ აუქციონზე ზედმეტია კამათი მაშინ, როცა ჯერ ტყის ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. სახელისუფლებო ფრთა საკუთარი ქვეყნის ბუნებრივი რესურსის აღწერას ინვესტორს არ უნდა ანდობდეს, რადგან ამით სახელმწიფოს ინტერესები ილახება. გოგი დათუნაიშვილის აზრით, არაფერი შავდება, რადგან სახელმწიფო აღწერის შედეგებს ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილი მართვის გეგმის მეშვეობით აკონტროლებს.



მაჭარაშვილი საპირისპიროს აცხადებს: „როცა ფიქრობენ, რომ ლიცენზიის მფლობელს დაავალდებულებენ ტყე დაიცვას, ამით, ფაქტობრივად, ატყუებენ მას. მეორე მხრივ, ვინც ყიდულობს ამ ლიცენზიას, იმან ან უნდა იცოდეს და მიდიოდეს ასეთ თამაშის წესებზე, ან ძალიან გაუთვიცნობიერებელი უნდა იყოს“.

„მწვანე ალტერნატივა“, არათანმიმდევრული ქმედების გამო, მორიგი აუქციონის ჩაშლას წინასწარმეტყველებს. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად განიხილება ტყეების კატეგორიზაცია, რომელიც საქართველოში დღემდე არ არსებობს. კატეგორიზაციის ის სქემა, რომელიც „მწვანე ალტერნატივას“ გააჩნია, გულისხმობს ტყის მასივების დაყოფას დაცული და დაცვითი უბნების მიხედვით. ამ ფართების გამოკლებით განისაზღვრება ის ტერიტორია, რომელიც გამიზნული იქნება სამეურნეო სარგებლობისათვის. უამისოდ ლიცენზიის პირობების შემუშავება უშედეგო აღმოჩნდება.

გარემოს დაცვის სამინისტროში მუშავდება სატყეო დარაიონება, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადასაცემი ტყის ფართობები, დაცული ტერიტორიები, პერსპექტიული დაცული ტერიტორიები, გრძელვადიან ტყით სარგებლობაში გასაცემი ტყის ფართობები, პერსპექტიულ რეკრეაციულ სარგებლობაში გასაცემი ტყის ფართობები, საკურორტო ზონის ტყეები. თუმცა გარკვევით არაა ჩამოყალიბებული, რომელ უბანზე რა სახის საექსპლოატაციო სამუშაოს განხორციელებაა ნებადართული.

**საქართველოში, დღესდღეობით, 3 ლიცენზია მოქმედებს – ქართულ-იტალიური ფირმა მართავს ყვარლის სატყეოს; ახალციხის, კერძოდ, თისელის უბანს – ქართულ-ბელგიური ორგანიზაცია; ხოლო სამეგრელო-ზემოსვანეთში ქართულ-ჩინური კომპანია ოპერირებს.**

თუ სასამართლომ „მწვანე ალტერნატივის“ სარჩელი დააკმაყოფილა, აღნიშნული ინვესტორების მიერ განხორციელებული ჭრები, ფაქტობრივად, ქვეყანას ზარალში ჩაეთვლება. საქართველო იცავს ტყის სამეურვეო საბჭოს მიერ დადგენილ ბუნების დაცვის პრინციპებს, თუმცა პარადოქსია, რომ ამ პრინციპების მიხედვით ჯერ არ შემუშავებულა ეროვნული ინდიკატორები და მათი შესრულების მაჩვენებელი ვერიფიკატორები, რაც გააადვილებდა ლიცენზირების პირობების დაკონკრეტებას.

როგორც „მწვანე ალტერნატივაში“ გვიცხადებენ, ამ კრიტერიუმების ადგილობრივი ვარიანტების შემუშავებას, მაქსიმალური დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში, 2 წელი მაინც დასჭირდება, რადგან პროცესი თეორიული მსჯელობების გარდა ამ პრინციპების საცდელ ფართობზე აპრობაციასაც მოიცავს. FSC-ის სტანდარტები ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური კუთხით მუშაობას ითვალისწინებს. მათივე კომენტარით, თავის დროზე ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტის გარემოს დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში არსებობამ დაჩრდილა სამინისტროს პირდაპირი ფუნქციები და ლიცენზირება, ფაქტობრივად, თვითმიზნად აქცია.

შჩ-ის მე-9 პრინციპი ითვალისწინებს მაღალი კონსერვაციის ღირებულების ტყეების შენარჩუნებას. „მწვანე ალტერნატივის“ ცნობით, მაღალი კონსერვაციის ანუ ხელუხლებელი ტყეები მთელს მსოფლიოში მხოლოდ ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ საქართველოშია დაცული. ახალციხის ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერ პოტენციურად დაცულ ტერიტორიად იყო რეკომენდებული. როგორც ახალციხის სატყეო უბნის უფროსის, ლევან კაპანაძისგან, შევიტყვეთ, ერთ-ერთი გრძელვადიანი ლიცენზია სწორედ ახალციხის რაიონში, თისელის სატყეოზეა გაცემული.

**მაჭარაშვილი აცხადებს, რომ ასპინძის რაიონში დაცვითი და დაცული ტყეების ფართი რომ გამოაკლდეს მთელ ტყიან ტერიტორიას, სამეურნეო სარგებლობისთვის დარჩენილი ნაწილი მხოლოდ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებას გასწვდება. ამგვარად, ამ რაიონში ტყის ლიცენზიის წესით გაცემა საერთოდ წარმოუდგენელია.**

არასამთავრობო სექტორის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების თვალსაზრისით, დადებით ნაბიჯად მიიჩნევა სახელმწიფო ტყეების ნაწილის მუნიციპალურ სარგებლობაში გადაცემა. მაჭარაშვილის თქმით, ეს იმიტომ მოხდა, რომ გუბერნატორები არ იყვნენ თანახმა, ტყეები ინვენტარიზაციის გარეშე ჩაებარებინათ. პროცესი ჯერ არ დასრულებულა, რადგან გარემოს დაცვის სამინისტროს ცნობით, რწმუნებულები პასუხისმგებლობის ნაუცბათევ გადაბარებას სიფრთხილით ეკიდებიან.

პრეზიდენტის რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთში, გოგა ხაჩიძემ, კომენტარისაგან თავი შეიკავა და სასაუბროდ ახალციხეში დაგვიბარა.

„მუნიციპალური ტყის ფონდის სახელმწიფო ფონდიდან გამიჯვნა ხარჯებს მოითხოვდა, ამიტომ ფინანსთა სამინისტროს ეთხოვა, რომ მომავალ 2009 წლის ბიუჯეტში საჭირო თანხები გაეთვალისწინებინა. ამჟამად გამიჯვნის სამუშაოების ორგანიზება მიმდინარეობს“, – აცხადებს გოგი დათუნაიშვილი და გადაბარების პროცესის გახანგრძლივების მიზეზად სწორედ გამიჯვნის დაუსრულებლობას ასახელებს. სამინისტროს იურიდიული სამსახურის ცნობით, ბოლო 3-4 წლის განმავლობაში მერქნის უკანონო ჭრის შედეგად სახელმწიფომ 11 მლნ. ლარით იზარალა.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორამაციას თუ დავეყრდნობით, 2001-დან 2005 წლის ჩათვლით, თუ გამოვრიცხავთ 2004 წელს, ხე-ტყის უკანონოდ ჭრის მზარდი დინამიკა ფიქსირდება. „მწვანე ალტერნატივა“ მიიჩნევს, რომ დღესდღეობით ხე-ტყის კონტრაბანდას უწინდელი მასშტაბები ნამდვილად აღარა აქვს, მაგრამ ამ ქმედების სრულებით აღკვეთას დაბეჯითებით ვერ ამტკიცებს. სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ბადრი მამინაშვილი კატეგორიულად აცხადებს, რომ დღევანდელი საბაჟო რეჟიმი კონტრაბანდას აბსოლუტურად გამორიცხავს.

„მწვანე ალტერნატივის“ შეფასებით, როცა ხელისუფლება გრძელვადიანი ლიცენზიის დადებით მაჩვენებლად გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ ეფექტს მოიაზრებს, ავიწყდება, რომ გარემოს დაცვითი სხვა მექანიზმების გაძლიერების გარეშე დროის ხანგრძლივობის ფაქტორი დიდ შეღავათს ვერ მოგვცემს. „მე ვგულისხმობ გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შესწავლის პროცედურებსა და მათ კონტროლს. მთავრობას ვთხოვთ, თავის ქმედებებში ეს ფაქტორებიც გაითვალისწინოს“, – აცხადებს მაჭარაშვილი და შენიშნავს, რომ

**2008-2012 წწ. მთავრობის პროგრამაში „საქართველო სიღარიბის გარეშე“, არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი გარემოს დაცვაზე, მაშინ როცა გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა გარემოს დაცვითი საერთაშორისო ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულებაა.**

„ევროკავშირში არსებობს დაცული ტერიტორიების ქსელი „ნატურა 2000“, რომლის კრიტერიუმებს აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ წევრი ქვეყნები. მანამდე არსებობს კიდევ მომამზადებელი ზურმუხტოვანი ქსელი, რომელიც იმავე კრიტერიუმებით იქმნება, მხოლოდ არა ევროკავშირის წევრებისათვის. უნგრეთში ჩატარებული რეფორის შედეგად, ტყეების 20% უპატრონოდ დარჩა და გაჩანაგდა. ეს ქვეყანა „ნატურა 2000“-ის კრიტერიუმების მიღებამ გადაარჩინა, რადგან ევროკავშირში შესასვლელად მათი დაცვა აუცილებელი იყო“, – შენიშნავს მაჭარაშვილი.